

შეწყალების მიუხედავად
მსჯავრდებულების მიერ
სასამართლოებში გაგრძელებული
სავარაუდოდ პოლიტიკურად
მოტივირებული საქმეები

2024

ადამიანის უფლებათა ცენტრი



ავტორი: გიორგი აბულაძე

რედაქტირება: ალექო ცქიტიშვილი, ანა ჯაბაური



ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	3
მეთოდოლოგია	5
შეწყალების უფლებამოსილება და პრაქტიკა.....	6
შეწყალების მექანიზმის ქართული მოდელი - ისტორიული ექსკურსი.....	7
შეწყალება, როგორც სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე მართლმსაჯულების გამოსწორების მექანიზმი	9
ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიგნებები	11
ირაკლი ოქრუაშვილის საქმე	11
პოლიტიკური მოტივი ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში	12
გიორგი რურუას საქმე.....	13
პოლიტიკური მოტივი გიორგი რურუას საქმეში	13
სამართლიანობის ძიება vs. სასამართლოს ეკონომიურობის პრინციპი	14
დასკვნა	17

შესავალი

2019 წლის 20 ივნისის ე. წ. „გავრილოვის ღამის“ საპროტესტო აქციების ჭარბი საპოლიციო ძალების/სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშლას, დემონსტრანტთა მძიმე დაზიანებას, 300-ზე მეტი ადამიანის დაკავებასა და პოლიტიკური პარტიების ლიდერების - ნიკა მელიასა და ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების დაწყებას ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა.

პოლიტიკური კრიზისის გასაწესებლად, დიპლომატიური კორპუსის ჩართულობით, „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის დაიწყო მოლაპარაკების პროცესი, რომელიც 2020 წლის 8 მარტის შეთანხმებით დასრულდა. შეთანხმება ორ მნიშვნელოვან საკითხს ასახავდა- საარჩევნო სისტემის რეფორმას და სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს.

მართალია, მოლაპარაკების პროცესში საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არ ყოფილა ჩართული, მაგრამ, მისი განმარტებით, „გამომდინარე მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან“, მან შეიწყალა გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი.

მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის მიერ შედეგების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებით და პარლამენტისთვის ბოიკოტის გამოცხადებით, ქვეყანაში კვლავ პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა.

კრიზისს განსაკუთრებულად ამწვავებდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიას საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესი და მოგვიანებით - მისი დაკავება.¹

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური პოლარიზაციის შესამცირებლად დაწყებულ მოლაპარაკებებში საქართველოში არსებული დიპლომატიური კორპუსი მონაწილეობდა. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელი, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაწყებულ დიალოგში ფასილიტატორად პირადად ჩაერთო,² შემდეგ კი, ევროკავშირმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის მედიაცია შვედეთში ევროკომისიის წარმომადგენელს, ქრისტიან დანიელსონს დაავალა.³

საბოლოოდ, რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2021 წლის 19 აპრილს „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ნაწილმა

¹ *Civil Georgia*, ინფორმაცია ნიკა მელიას დაკავების შესახებ, 23 თებერვალი 2021, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/400101> [01.03.2024].

² *Civil Georgia*, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის შუამავალი იქნება, 1 მარტი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/402357> [01.03.2024].

³ *Civil Georgia*, ევროკავშირმა საქართველოს პოლიტიკური კრიზისის მედიატორი დანიშნა, 9 მარტი 2021, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/404139> [01.03.2024].

ევროკავშირის მიერ მოლაპარაკებების შედეგად შექმნილ დოკუმენტს მოაწერეს ხელი.⁴

შეთანხმება ხუთ მნიშვნელოვან საკითხს ასახავს. მათ შორის, პირველი საკითხი შეეხებოდა პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირებას. კერძოდ, მხარეებმა აიღეს ვალდებულება, „შეთანხმებაზე ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, რეაგირება მოეხდინათ პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე, ამნისტიის საშუალებით და/ან ისეთი ზომების მიღებით, რომელიც [ამნისტიის] ანალოგიურ შედეგს გამოიღებდა“.⁵ კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, პარლამენტში უნდა დაინიცირებულიყო კანონპროექტი „ამნისტიის შესახებ“ 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტების დროს იდენტიფიცირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებასთან დაკავშირებით.

შეთანხმების გამოცხადი იყო 2021 წლის 27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, გიორგი რურუას შეწყალება.⁶ იმავე დღეს დაინიცირდა კანონი ამნისტიის შესახებ,⁷ რომელიც 2021 წლის 7 სექტემბერს მესამე მოსმენით იქნა მიღებული.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა გიგი უგულავას, ირაკლი ოქრუაშვილის, გიორგი რურუასა და ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესებს. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსხვავებით უგულავას და გვარამიას საქმისგან, რომლებიც პრეზიდენტმა გასაჩივრების შიდასამართლებრივი მექანიზმების ამოწურვის შემდგომ შეიწყალა, ირაკლი ოქრუაშვილის და გიორგი რურუას მიმართ პრეზიდენტმა შეწყალების აქტი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ გამოსცა და, მიუხედავად ამისა, მათ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრეს ზემდგომ ინსტანციებში. *ორივე შემთხვევა ქართული მართლმსაჯულებისთვის პრეცედენტულია.*

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მიზანია, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიგნებებზე დაყრდნობით, შეწყალების, როგორც პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოსწორების მექანიზმის მიმოხილვა. დოკუმენტში მიმოხილულია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, სადაც, შეწყალების მიუხედავად, მსჯავრდებულებმა „სიმართლის საძიებლად“ ზემდგომ სასამართლოებში გააგრძელეს დავა. ასევე, გაანალიზებულია სამართლის ეკონომიურობის პრინციპისა და პირის სამართლებრივი რეაბილიტაციის ურთიერთმიმართება.

.....
⁴ Civil Georgia, ქართულმა ოცნებამ და ოპოზიციის ნაწილმა ევროკავშირის კომპრომისულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს, 19 აპრილი 2021, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/414264> [01.03.2024].
⁵ 2020 წლის 19 აპრილის შეთანხმება „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ (ინგლისურად) - <https://bit.ly/4aAivD5> [04.03.2024], არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4ahcTnL> [18.03.2024].
⁶ რადიო თავისუფლება, სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა გიორგი რურუა, 27 აპრილი 2021, <https://bit.ly/3TmAeXB> [04.03.2024].
⁷ კანონის პროექტი „ამნისტიის შესახებ“ და „ადმინისტრაციული სახელისგან გათავისუფლების შესახებ“ - <https://parliament.ge/legislation/21993> [04.03.2024].

მეთოდოლოგია

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს აკვირდება სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე და, შემდგომი ანალიზის მიზნით, ახდენს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული ხარვეზებისა და სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირებას.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს ორი იურისტ-მონიტორი, წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. კითხვარის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას კი იურისტი-ანალიტიკოსი გადაამუშავებს შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტებისთვის და ანგარიშებისთვის იყენებს.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის დროს ადამიანის უფლებათა ცენტრი მკაცრად იცავს *ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის პრინციპებს*. ამასთან, ცენტრი უზრუნველყოფს სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიის წარმომადგენლებისა და საზოგადოებისთვის.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტისთვის შეირჩა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, სადაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტის მიუხედავად, მხარეებმა გაასაჩივრეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ინფორმაციის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ შერჩეულ საქმეებზე მსჯავრდებულ პირებს - ირაკლი ოქრუაშვილს და გიორგი რურუას, ასევე - მათ ადვოკატებს.

შენწყალების უფლებამოსილება და პრაქტიკა

შენწყალების მექანიზმი ფართოდ გავრცელებული სამართლებრივი ინსტრუმენტია ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ხელში.⁸ მისი ფუნქციური დატვირთვა სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სახელმწიფოებრივი კრიზისების განმუხტვაზე ზეგავლენის მოხდენაა. ამასთან, შეწყალების მექანიზმის გამოყენებას დამატებით სხვა მიზანიც შეიძლება ჰქონდეს⁹ - მართლმსაჯულების შეცდომის გამოსწორება, დამნაშავე პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და სხვ. ნიშანდობლივია, რომ ქართული ნორმატიული ბაზა შეწყალების მექანიზმის გამოყენების მიზნებს არ ჩამოთვლიდა, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, მსჯავრდებულები შეწყალებას მიიჩნევენ სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად, რომელსაც შეუძლია, კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვის გზით, მსჯავრდებულთა სასჯელის შემცირება ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება.¹⁰

დოქტრინალურად, შეწყალების ხუთი ძირითადი სახე გამოიყოფა:¹¹ მარტივი შეწყალება (Simple Pardons),¹² სასჯელის შემსუბუქება (Commutation),¹³ ჯარიმის ან/და კონფისკაციისგან პირის გათავისუფლება (Remission of Fines and Forfeitures),¹⁴ პირობითი შეწყალება (Conditional Pardon)¹⁵ და აბსოლუტური შეწყალება (Absolute Pardon).¹⁶

საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს, ასევე - სახელმწიფო ინტერესს.¹⁷ მისი გამოყენება

⁸ როგორც წესი, შეწყალების უფლებამოსილება პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში, ეს უფლებამოსილება სხვა ორგანოსაც შეიძლება ჰქონდეთ - მაგალითად, მონარქს (ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო), გენერალურ გუბერნატორს (კანადა) და სხვ.

⁹ ადამიანის უფლებების ცენტრი, *შეწყალების უფლებამოსილება - ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება*, თბილისი, 10, 2016. ხელმისაწვდომია: <https://www.hrc.ge/files/reports/135Pardon%20Power-geo.pdf> [05.03.2024].

¹⁰ იქვე, 14.

¹¹ Jeffrey P. Crouch, *Presidential Pardon Power: A Constitutional History*, University Press of Kansas, Lawrence, Kan., 2009, 20.

¹² ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება პირის გათავისუფლება სასჯელისგან, ნასამართლეობის მოხსნის გარეშე. დამატებით: *Office of the secretary of the commonwealth, Pardon Fact Sheet, Virginia*, <https://bit.ly/3T6HOoX>, [07.03.2024].

¹³ სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელის სახით (მაგალითად, სიკვდილით დასჯის ან უვადო თავისუფლების ადვკეთის შეცვლა ვადიანი თავისუფლების ადვკეთით).

¹⁴ James N. Jorgensen, *Federal Executive Clemency Power: The President's Prerogative to Escape Accountability*, 27 *U. Rich. L. Rev.* (1993), 345, <http://scholarship.richmond.edu/lawreview/vol27/iss2/10>, [07.03.2024].

¹⁵ პირობითი შეწყალება გულისხმობს სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის შეწყალებას რომელსაც აქვს ჯანმრთელობასთან ან იმიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ამდენად, შეწყალების ეს ფორმა გამოიყენება პირის მიმართ, რომელსაც აქვს (1) ჯანმრთელობის განსაკუთრებული პრობლემები [აშშ-ის პრაქტიკით, დამატებითი მოთხოვნაა, პირს დარჩენილი ჰქონდეს სამ თვეზე ნაკლები სიცოცხლე] ან (2) ემუქრება დეპორტირება საკუთარ ქვეყანაში. დამატებით: *Office of the secretary of the commonwealth, Pardon Fact Sheet, Virginia*, <https://bit.ly/3T6HOoX>, [07.03.2024].

¹⁶ აბსოლუტური შეწყალების დროს მსჯავრდებულს ევატიება დანაშაული ყოველგვარი პირობის გარეშე. აბსოლუტური შეწყალების დროს მსჯავრდებული, ასევე, თავისუფლება ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგისგან (მაგ., ზიანის ანაზღაურება). ასევე, აშშ-ის პრაქტიკის მიხედვით, აბსოლუტური შეწყალების გამოყენების რამდენიმე წინაპირობაა. მათ შორის, (1) ბრალდებული უდანაშაულოა წარდგენილ ბრალში, (2) იგი მთელი სამართალწარმოების განმავლობაში არ აღიარებს ბრალს და (3) ამოწურავს ქვეყნის შიგნით არსებულ ყველა სამართლებრივ რესურსს უდანაშაულობის დასამტკიცებლად. დეტალურად: James N. Jorgensen, *Federal Executive Clemency Power: The President's Prerogative to Escape Accountability*, 27 *U. Rich. L. Rev.* (1993), 348, <http://scholarship.richmond.edu/lawreview/vol27/iss2/10>, [07.03.2024] და *Office of the secretary of the commonwealth, Pardon Fact Sheet, Virginia*, <https://bit.ly/3T6HOoX>, [07.03.2024].

¹⁷ „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება №556.

საქართველოს პრეზიდენტის ექსკლუზიური კონსტიტუციური უფლებამოსილებაა.¹⁸ შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ამასთან, სასჯელმოხდელ პირს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.¹⁹

შეწყალების მექანიზმის ქართული მოდელი - ისტორიული ექსკურსი

დამოუკიდებელი საქართველოს სამართლის ისტორიას შეწყალების მექანიზმის გამოყენების სხვადასხვა პრაქტიკა ახსოვს.

1998 წლის 13 მაისის „მსჯავრდებულთა შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №319 ბრძანებულება²⁰ აკეთებდა დათქმას, რომ შეწყალების საფუძველია **მსჯავრდებულის პირადი თხოვნა**, ასევე, **თავის დამნაშავე ცნობა** და **დანაშაულის მონანიება**. პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნით, აგრეთვე, შეეძლოთ მიემართათ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრ(ებ)ს.

შეწყალების თხოვნას განიხილავდა შეწყალების საკითხთა კომისია, რომელიც რეკომენდაციით მიმართავდა პრეზიდენტს პირის შეწყალების საკითხზე. მსჯავრდებულთა შეწყალება ფორმდებოდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ხოლო შეწყალებაზე უარის თქმა – კომისიის გადაწყვეტილებით.

აღსანიშნავია, რომ შეწყალების საკითხის განხილვის პროცესში ჩართული იყვნენ მართლმსაჯულების სხვა ორგანოები. კერძოდ, შეწყალების საკითხთა კომისიაზე განხილვამდე სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების თხოვნა წინასწარი დასკვნისათვის სასჯელთა აღსრულების დაწესებულებიდან შემოსულ მასალებთან ერთად ეგზავნებოდათ საქართველოს უზენაეს სასამართლოს, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს.²¹

მოგვიანებით, 2004 წლის 19 ივლისს, აღნიშნული ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა და ამოქმედდა „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №277 ბრძანებულება.²²

შეწყალების გამოყენების წესის 2004 წლის რედაქციამ გააფართოვა იმ პირთა წრე, ვისაც შეეძლო ამ მოთხოვნით მიმართვა. კერძოდ, დებულებამ განსაზღვრა, რომ პრეზიდენტმა შესაძლოა, შეიწყალოს მსჯავრდებული და ან პირი, რომელმაც მოიხადა სასჯელი და არ აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა.

დებულება შეწყალების წინაპირობად აღარ ითვალისწინებდა დანაშაულის აღიარებას და მის მონანიებას, მიმართვის უფლება კი თავად შესაწყალებელ პირებს,

.....
¹⁸ მუხლი 52, საქართველოს კონსტიტუცია.

¹⁹ მუხლი 78, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

²⁰ მუხლი 1, 1998 წლის 13 მაისის „მსჯავრდებულთა შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №319 ბრძანებულება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TGHkHL> [07.03.2024].

²¹ მუხლი 10, „მსჯავრდებულთა შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 13 მაისის №319 ბრძანებულება.

²² „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №277 ბრძანებულება, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/35644?publication=0> [20.03.2024].

მათი ოჯახის წევრებს, საქართველოს პარლამენტის წევრს (წევრებს), ცალკეულ პირებს, პირთა ჯგუფებს, ორგანიზაციებს და უწყებებს ჰქონდათ.

შეწყალების თხოვნა კომისიური წესით განიხილებოდა და, წინა წესისგან განსხვავებით, კომისიის დისკრეცია გახდა, *საჭიროების შემთხვევაში*, შეწყალების შუამდგომლობის (თხოვნა) დასკვნისათვის შეწყალების საქმის მასალებთან ერთად საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებთან გადაგზავნა.²³

შეწყალების გამოყენების წესის შესახებ პრეზიდენტის 2004 წლის ბრძანებულების თავდაპირველი რედაქცია არ ითვალისწინებდა წესისგან დაუცველად პრეზიდენტის მიერ პირთა შეწყალების უფლებამოსილებას. 2005 წლის ცვლილებებით, საქართველოს პრეზიდენტს მიენიჭა უფლებამოსილება, შეწყალების შუამდგომლობის (თხოვნის) განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და/ან ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიედო გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.²⁴

2014 წელს კვლავ შეიცვალა „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება და მიღებული იქნა ახალი, 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულება.²⁵ ამ ბრძანებულებით სიახლეს წარმოადგენდა პირის უფლება, რომელსაც შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, 15 წლის გასვლის შემდეგ მიმართოს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით. წინამორბედი დებულებით, პრეზიდენტი არ განიხილავდა უვადო მსჯავრდებულის განაცხადს, თუ მას ფაქტობრივად არა ჰქონდა მოხდილი თავისუფლების აღკვეთის 25 წელი.

დღეს მოქმედ „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის №556 ბრძანებულებაში რიგი ცვლილებები შევიდა.²⁶

შეწყალების ახალი წესის მიხედვით, გაუქმდა კომისია, რომელიც განიხილავდა შეწყალების თხოვნას და მსჯავრდებულის შეწყალების, ასევე სასჯელმოხდილი პირისათვის ნასამართლობის მოხსნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენდა რეკომენდაციას. სანაცვლოდ, დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტისათვის მსჯავრდებულის შეწყალების საქმეს განსახილველად ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური.²⁷ ამასთან, შეწყალება განისაზღვრა, როგორც პრეზიდენტის კონსტიტუციური ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელიც, როგორც წესი, *გამოიყენება გამონაკლისის სახით*.²⁸

„შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ პრეზიდენტის ბრძანებულების დღევანდელი რედაქციის მიღებას წინ უძღოდა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის

²³ მუხლი 8, „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულება.

²⁴ მუხლი 2, „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულება [30/05/2005 წლის ცვლილებების შემდგომი რედაქცია].

²⁵ „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულება. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2299717?publication=0> [20.03.2024].

²⁶ შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის №556 ბრძანებულება, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4712933?publication=0> [20.03.2024].

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

მიერ, 2019 წლის 28 აგვისტოს შეწყალების აქტის თანმდევი კრიტიკის საპასუხოდ, 18 სექტემბერის გადაწყვეტილება მსჯავრდებულთა შეწყალებაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ.²⁹

შეწყალება, როგორც სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე მართლმსაჯულების გამოსწორების მექანიზმი

დემოკრატიულ საზოგადოებებში შეწყალების უფლებამოსილება ემსახურება სამართლიანობის, ჰუმანურობისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა საზოგადოების ჯანსაღ წევრად დაბრუნების იდეას. არსობრივად, შეწყალების უფლებამოსილება, ზოგ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებით სამართლიანობის პოვნის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება.

შეწყალება, როგორც ისტორიული პერსპექტივებიდან, ისე თანამედროვე კონსტიტუციური წესრიგის ლოგიკიდან, უფრო მეტად პოლიტიკური და ძალაუფლებრივი პარადიგმების მიხედვით უნდა განიმარტოს.³⁰ შეწყალება განცალკევებულად და იზოლირებულად არსებული კერძო აქტი არ არის, „ის კონსტიტუციური სქემის ნაწილია“.³¹ ამიტომაც, შეწყალება, როგორც კონსტიტუციური აქტი, არა უბრალოდ ჰუმანური ქმედება, არამედ სახელმწიფოს მეთაურის მიერ პოლიტიკის განსაზღვრის ერთ-ერთი მექანიზმია. სწორედ პოლიტიკურობა ქმნის შეწყალების უფლებამოსილების რეალურ შინაარსს.³²

შეწყალების უფლებამოსილების პოლიტიკური შინაარსი აქტუალობას განსაკუთრებით მაშინ იძენს, როდესაც მისი გამოყენება ხდება იმ საქმეებზე, სადაც მსჯავრდებულის წინააღმდეგ მიმდინარე საქმე პოლიტიკური მოტივებითა ნაკარნახევი. პოლიტიკური პატიმარი შეიძლება განიმარტოს, როგორც ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავებულია მთავრობის წინააღმდეგ პოლიტიკურ მოძრაობაში მისი რეალური ან აღქმითი მონაწილეობის ან მხარდაჭერის გამო.³³

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ დამტკიცებული რეზოლუციით განსაზღვრული „პოლიტიკური პატიმრის“ განმარტების თანახმად,³⁴ თავისუფლებააღკვეთილი პირი მიიჩნევა პოლიტპატიმრად, თუ:

- ა. იგი დაპატიმრებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმებით განსაზღვრული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების დარღვევით, კერძოდ, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების, შეკრების და მისი ასოციაცირების თავისუფლების საფუძველზე;
- ბ. პატიმრობა შეფარდებულია წმინდა პოლიტიკური მოტივებით და პირს არ აქვს ჩაღვნილი დანაშაულებრივი ქმედება;

²⁹ რადიო თავისუფლება, საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მიიღო და მსჯავრდებულთა შეწყალებაზე მორატორიუმი გამოაცხადა - <https://bit.ly/3lqEsrX> [06.03.2024].

³⁰ გერლიანი, თ., შეწყალების პოლიტიკურობა და კონსტიტუციური წესრიგის ლოგიკა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/48L46CH>, [06.03.2024].

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ AAP, Political Prisoner Definition; Definition Of Political Prisoner from the Cambridge Advanced Learner's Dictionary & Thesaurus, Cambridge University Press.

³⁴ Council of Europe, *The definition of political prisoner*, 2001 [Resolution 1900 (2012) Final version]. ხელმისაწვდომია: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19150&lang=en> [11.03.2024].

გ. პოლიტიკური მოტივით, პატიმრობის ხანგრძლივობა ან მისი პირობები აშკარად არაპროპორციულია იმ დანაშაულთან, რომლისთვისაც იგი ბრალდებული ან მსჯავრდებულია;

დ. დაპატიმრებულია პოლიტიკური მოტივით, სხვა პირებთან შედარებით დისკრიმინაციული საფუძვლით;

ე. დაკავება საპროცესო გარანტიების აშკარად უსამართლო და/ან დარღვევით გამოყენების შედეგია, აღნიშნული კი დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტპატიმრის სტატუსი პირის *a priori* უდანაშაულობას არ გულისხმობს. არამედ შესაძლებელია პირს წარსულში ნამდვილად ჰქონდეს ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედება, მაგრამ დაწყებული დევნა უკავშირდებოდეს მის ამჟამინდელ პოლიტიკურ საქმიანობას და სამართალწარმოების პროცესში არ იყოს უზრუნველყოფილი „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლიანი სასამართლო“³⁵.

პრეზიდენტის მიერ გიგი უგულავას, ირაკლი ოქრუაშვილის, გიორგი რურუასა და ნიკა გვარამიას შეწყალება ამ ინსტიტუტის პოლიტიკური მდგენელის კარგი მაგალითია - სალომე ზურაბიშვილმა, გამოიყენა რა შეწყალების მექანიზმი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში.

.....
³⁵ „საერთაშორისო ამნისტია“ პირის პოლიტპატიმრად აღიარებისთვის დამატებით ორ კრიტერიუმს გამოყოფს* - 1) საქმე შეიცავს „შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს“* და 2) საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს“.

* აღნიშნული კრიტერიუმი, მათ შორის, მოიაზრებს თავისუფლება ადკვეთილი პირის პოლიტიკურ აქტიურობას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიგნებები

ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგს უწევს საერთო სასამართლოებში მიმდინარე იმ საქმეებს, სადაც, სავარაუდოდ, არსებობს პოლიტიკური მოტივები. წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მიზნებისთვის საინტერესოა გიგი უგულავას, ირაკლი ოქრუაშვილის, გიორგი რურუასა და ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესები. ყველა ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა გამოიყენა ექსკლუზიური უფლებამოსილება - შეწყალების მექანიზმი. აქედან ორ შემთხვევაში - გიგი უგულავა და ნიკა გვარამია სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის დასრულების შემდგომ შეიწყალა, ხოლო ირაკლი ოქრუაშვილის და გიორგი რურუას შეწყალების აქტის გამოცემისას მათ წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების განხილვა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო დასრულებული.

მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა და გიორგი რურუამ, მიუხედავად პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტისა, ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რითაც ერთგვარი პრეცედენტი შექმნეს ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში.

ირაკლი ოქრუაშვილის საქმე

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ, პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით, ოქრუაშვილს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობისთვის [სსკ-ის 225 (2) მუხლი]. მას, ასევე, ბრალად ედებოდა ჯგუფური ძალადობის ორგანიზება [სსკ-ის 225 (1) მუხლი]. მეორე ბრალდებაში ოქრუაშვილი გამართლდა.

ირაკლი ოქრუაშვილმა, ასევე, პროკურატურამ 13 აპრილის განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

2020 წლის 15 მაისს, შეწყალების აქტის საფუძველზე, ირაკლი ოქრუაშვილი გათავისუფლდა. ამის მიუხედავად, მან გააგრძელა სამართლებრივი დავა.

2022 წლის 15 მარტის განაჩენით საქართველოს გენერალური პროკურატურის, ასევე მსჯავრდებული ირაკლი ოქრუაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენი დარჩა უცვლელად.

მოგვიანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. პროკურორი ითხოვდა მსჯავრდებულის საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით [ორგანიზება] დამნაშავედ ცნობას, ირაკლი ოქრუაშვილი კი - სრულად გამართლებას. უზენაესი სასამართლოს განჩინებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე საკასაციო საჩივრები არ იქნა დაშვებული განსახილველად, რის შემდეგაც ირაკლი

ოქრუაშვილმა დავა გააგრძელა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელსაც გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია.

პოლიტიკური მოტივი ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში

ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისამართლებრივი დევნა, რომელიც 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს უკავშირდებოდა, გარკვეულ კითხვებს აჩენს საქმის სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით.

კითხვებს აჩენს ირაკლი ოქრუაშვილისთვის წარდგენილი ბრალი. 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებისას, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბრალი საერთო ჯამში კიდევ 18 პირს წარედგინა. თითოეული მათგანი საპროტესტო აქციის წინა ხაზზე იდგა და აქტიური შეხება ჰქონდა პოლიციასთან. გარდა ადამიანთა მცირე ჯგუფისა, რომელსაც პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილის თანმხლებ პირებს უწოდებს, რათა მას ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა ან/და ჯგუფური ძალადობის მონაწილეობაში ბრალი დაუმტკიცოს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ირაკლი ოქრუაშვილის გარშემო კიდევ ასობით ადამიანი იმყოფებოდა, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია ვიდეოჩანაწერებით.³⁶ თუმცა, სხვა პირების მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

პოლიტიკური მოტივების ეჭვს აჩენს 2019 წლის 19 ნოემბერს ირაკლი ოქრუაშვილისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში წაყენებული ბრალი ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე. ოქრუაშვილს ბრალი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე წარედგინა. ასევე, როგორც 2019 წლის 20 ნოემბრის სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ დადგენილებაშია მითითებული, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მოცემულ საქმეზე ცალკე წარმოებად გამოიყო საქმე ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ.³⁷ საგულისხმოა, გაჭიანურებული მართლმსაჯულება აღნიშნული საქმის სასამართლოში მიმდინარეობისას.

დამატებით, პოლიტიკური მოტივების შესახებ ეჭვს აჩენს, ოქრუაშვილის საქმეზე გამოცემული პრეზიდენტის შეწყალების აქტის მიუხედავად, პროკურატურის მიერ სააპელაციო სასამართლოში დავის გაგრძელება, ასევე - სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება. ეს ნაბიჯები, ერთი მხრივ, ამდაფრებს საქმის პოლიტიკურ ელფერს და, მეორე მხრივ, სასამართლოს უქმნის ჩიხურ სიტუაციას, რომელიც შესაძლოა შექმნილიყო ბრალდებულისთვის უფრო მძიმე, მასობრივი ძალადობის ორგანიზება/ხელმძღვანელობისთვის, ბრალდებაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში.

ამავე დროს, ირაკლი ოქრუაშვილს, 2020 წლის 13 აპრილს, 20-21 ივნისის მოვლენების საქმეზე გამამატყუნებელი განაჩენის შემდეგ, საერთაშორისო პარტნიორები და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები პირდაპირ უწოდებდნენ პოლიტიკურ პატიმარს.³⁸

³⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრი, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, 2020, 34. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xOXwL6> [17.03.2024].

³⁷ იქვე, 23. დადგენილება სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ, 20.11.2019. თბილისი. დოკუმენტის N0013737417.

³⁸ იქვე, 34.

გიორგი რურუას საქმე

„მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მეწილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ს 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება). ასევე, ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ს 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას (საქმე ეხება პენიტენციურ დაწესებულებაში გიორგი რურუას უარს, სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების - დნმ-ის ნიმუშისა და ხელის კვლების აღებასთან დაკავშირებით).

2019 წლის 20 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულ გიორგი რურუას, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.³⁹

2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, დამნაშავედ ცნო ორივე ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. დაცვის მხარემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2021 წლის 27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი რურუა შეიწყალა. ამის მიუხედავად, მსჯავრდებულმა გააგრძელა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობა.

პოლიტიკური მოტივი გიორგი რურუას საქმეში

გიორგი რურუას დაკავების პირველივე დღიდან დაიწყო საქმეში სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებზე საუბარი.

პირველი საკითხი, რაც აქტიურად განიხილებოდა, რურუას მანქანიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი იყო. თავად ბრალდებული უარყოფდა აღნიშნული იარაღის არსებობას⁴⁰ და აღნიშნავდა, რომ „ჩაუდეს“ იარაღი, რომელიც ფიზიკურად არ უნახავს და არ ჰქონია ავტომობილში.⁴¹

გიორგი რურუას ჩვენებით, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ, იგი იყო ანტისაოკუპაციო და ხელისუფლების წინააღმდეგ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ფინანსური მხარდამჭერი და, ამავე დროს, აქტიური მონაწილე. 2019 წლის ივნისში დაწყებული აქციები დროებით შეჩერდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება საზოგადოებას დაპირდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას. აქციები განახლდა ნოემბერში,

³⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრი, გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი, 2020, 5. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4cjpBx8> [18.03.2024].

⁴⁰ პუბლიკა, გიორგი რურუას განცხადება დაკავებასთან დაკავშირებით: <https://bit.ly/3IG4RCd> [18.03.2024].

⁴¹ ფორმულა, გიორგი რურუას ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/15144> [18.03.2024].

როდესაც ხელისუფლების მოკავშირე დეპუტატების ჯგუფმა პარლამენტში ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ჩააგდო და გაირკვა, რომ საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული - მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა. გიორგი რურუას ჩვენებით, ნოემბერში კვლავ განაგრძო საპროტესტო აქციების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა, თან ფიზიკურადაც ეხმარებოდა აქციის მონაწილეებს სხვადასხვა სამუშაოში. მაგალითად, 2019 წლის 17 ნოემბერს მან ორგანიზება გაუკეთა და პირადად მიიტანა პარლამენტთან შემა აქციის მონაწილეთა გათბობის მიზნით. ამ აქციაზე იგი მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდა და 18 ნოემბერს, დილით, დროებით ბრუნდებოდა შინ, რა დროსაც იგი დააკავეს.⁴²

ამასთან, გიორგი რურუას გათავისუფლებას საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის შესაცვლელად ინიცირებული კონსტიტუციური კანონპროექტის მხარდაჭერის პირობად ასახელებდნენ პოლიტიკური პარტიები - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“. მათი განცხადებით, რურუას გათავისუფლება ხელისუფლებასთან 8 მარტს მიღწეული შეთანხმების ნაწილი იყო, რასაც ხელისუფლების მმართველი ძალის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფდნენ.⁴³

პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების ეჭვს ბადებს სააპელაციო სასამართლოში გიორგი რურუას საქმის გაჭიანურებული განხილვა - მხარემ საქალაქო სასამართლოს განაჩენი 2020 წელს გაასაჩივრა, პირველი სასამართლო სხდომა კი 2024 წლის იანვარში გაიმართა.

სამართლიანობის ძიება vs. სასამართლოს ეკონომიურობის პრინციპი

კვლევის ფარგლებში ირაკლი ოქრუაშვილსა და გიორგი რურუასთან, ასევე მის ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილთან შედგა ინტერვიუ. მათი მთავარი მოტივი, რატომაც გადაწყვიტეს შეწყალების მიუხედავად გაეგრძელებინათ სასამართლოში დავა, იყო საკუთარი სიმართლის დამტკიცება:

ირაკლი ოქრუაშვილი

გასაჩივრების მოტივი წმინდად იურიდიული არ არის, მაგრამ არის სუფთა ადამიანური: როდესაც ბრალდებული არ თვლის მის მიმართ დამდგარ განაჩენს სამართლიანად და აგრძელებს პროცედურას მისი გამართლების მოთხოვნით.

⁴² ადამიანის უფლებათა ცენტრი, გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი, 2020, 18. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4cjpBx8> [18.03.2024].

⁴³ იქვე, 19.

გიორგი რურუა

„საზოგადოებრივი მხარდაჭერა მივიღე. მივიღე მხარდაჭერა არასამთავრობო სექტორისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, პოლიტიკოსებისგან, მაგრამ მიმაჩნია, რომ სამართლებრივი შედეგის დადგომა მნიშვნელოვანია. სწორედ ამ სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის მინდა ვიბრძოლო სასამართლოში“.

დიმიტრი საძაგლიშვილი

„რადგან გიორგი რურუა უდანაშაულოა - მას ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდეს, ჩვენი მიზანია საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომა. შეიძლება, ეს უფრო მარტივი იყოს მიმდინარე საქმის პირობებში, როცა დასრულებული არ არის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სამართალწარმოება“.

უდავოა, ყოველი ადამიანი, მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.⁴⁴ ასევე, ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.⁴⁵ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი კომპონენტია. თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლოს უფლება სამართლის უზენაესობის დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. „სამართლის უზენაესობის პრინციპი ევროპული საჯარო წესრიგის ერთ-ერთი ფუძემდებლური კომპონენტია და თვითნებობა ამ პრინციპის უარყოფას წარმოადგენს“.⁴⁶

მართალია, სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს დასჯად ქმედებას, მაგრამ ამ შემადგენლობის არსებობაც კი არ არის საკმარისი პირის დამნაშავედ მიჩნევისთვის. სისხლის სამართლის პროცესის მიზანია საქმეზე „ობიექტური ქეშმარიტების“⁴⁷ დადგენა, პირის ბრალეულობის განსაზღვრა, დამნაშავის სამართლიანი სასჯელის დანიშვნა და არაბრალეული ადამიანის დაცვა უსაფუძვლო ბრალდებისგან.⁴⁸ შესაბამისად, როდესაც პირი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და სურს საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება, მას არ უნდა წაერთვას ასეთი უფლება. ეს უკანასკნელი პირის სამართლებრივი რეაბილიტაციის შესაძლებლობას უკავშირდება.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზანი არ არის მხოლოდ სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკის განხორციელება - დასაჯოს დამნაშავე. შესაბამისად, თუ პირს სურს, მისი ქმედების სამართლებრივი შეფასება, დაუშვებელია ამგვარი

⁴⁴ მუხლი 6, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

⁴⁵ მუხლი 2, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის [დამატებითი] ოქმი № 7.

⁴⁶ ბერია, გ., *ზედელაშვილი, გ., თაქთაქიშვილი ჩ., კობაღიშვილი მ.*, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ინსტიტუციური გარანტიები, თბილისი, 2021, 66, ციტირებულია *Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland*.

⁴⁷ *გოგშელიძე, რ. (რედ.)*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), თბილისი, 2009, 27.

⁴⁸ იქვე.

მოთხოვნის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება. სათანადო რეაგირება კი გულისხმობს საქმის განხილვის დასრულებას გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლომ პირს უნდა დაუნიშნოს სასჯელიც დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლოს პირი დანიშნული სასჯელის მოხდისგან.⁴⁹ ეს არის სასამართლოს ფუნქციური ელემენტი - ხელი შეუწყოს დანაშაულის პრევენციას საზოგადოების წევრთა ქმედების სამართლებრივი შეფასების გზით.

გარდა სიმართლის ძიებისა, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, შესაძლოა სახეზე იყოს კოლიზია სამართლიანობის/სიმართლის დამტკიცებასა და სასამართლოს ეკონომიურობის პრინციპს შორის. მარტივად რომ ითქვას, საკითხი დგას შემდეგნაირად - უნდა დახარჯოს თუ არა სასამართლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ რესურსი იმ საქმეების განხილვაზე, სადაც პირის მიმართ გამოცემულია შეწყალების აქტი და გათავისუფლებულია სასჯელისგან. ამ საკითხს აქტუალურს ხდის ქართული მართლმსაჯულების პრობლემებიც, მათ შორის - მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირე და გაჭიანურებული მართლმსაჯულება.⁵⁰

პირის უფლება, დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა და მოხდეს მისი სამართლებრივი რეაბილიტაცია, არის სამართლიანი სასამართლოს და პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური უფლების შემადგენელი ელემენტი და უკავშირდება მის პიროვნულ ღირსებას⁵¹, რომელთა შეზღუდვაც სასამართლოს ეკონომიურობის პრინციპთან კონკურენციისას დაუშვებელია. უფლებაში ჩარევის თანაზომიერების შეფასებისთვის მხედველობაშია მისაღები როგორც ჩარევის ინტენსივობა, ისე იმ უფლებისა თუ სამართლებრივი ინტერესის მნიშვნელობა, რომლის დაცვის შესაძლებლობაც არის შეზღუდული. პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილება უმნიშვნელოვანესი მიზანია მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფისთვის.⁵² ამასთან, სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვა არ წარმოადგენს თვითმიზანს. გადატვირთვისგან თავისუფალი სასამართლო ეფექტიანი მართლმსაჯულების არსებობის წინაპირობაა.⁵³

.....
⁴⁹ ბიჭია, შ., ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, 2010, 162.

⁵⁰ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ სასამართლო სისტემის 2017-2019 წლების საქმიანობის ანგარიშში ვკითხულობთ: „საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, USAID/PROLoG-ის პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა და ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ადგილობრივმა ექსპერტებმა მოაშუადეს საქართველოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შეფასების კვლევა. ექსპერტთა დასკვნით, არსებული საქმეების გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა ამჟამინდელი რაოდენობა არასაკმარისია. გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, სასამართლოს სჭირდება 410 (ან 380-დან 450-მდე) მოსამართლე, რაც მოსამართლეთა არსებული რაოდენობის საშუალოდ 100 ერთეულით გაზრდას გულისხმობს“. ხელმისაწვდომია: სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში 2017-2019, <https://bit.ly/3TxK7Tw>, [14.03.2024]. ასევე, სასამართლო სისტემის 2013-2017 წლების საქმიანობის ანგარიშში მოცემული სტატისტიკის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში ერთი მოსამართლე, საშუალოდ, 1000-ზე მეტ საქმეს განიხილავს, ხოლო აპარატის თანამშრომელთა საშუალოდ, საშუალოდ, 18 საათიან გრაფიკს გულისხმობს. ხელმისაწვდომია: სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში 2013-2017, <https://bit.ly/3TkimfM>, [14.03.2024].

⁵¹ თოფურჩიძე, ნ., საქმის სამართლიანი განხილვის უფლება საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (რედ. კორკელია, ვ.), 2013, 81

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უფლავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-69.

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე „აიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

დასკვნა

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, სხვა ხელშეუვალ უფლებათა მსგავსად, ადამიანის ღირსების პატივისცემის ვალდებულებას ეფუძნება. იგი მრავალი დამოუკიდებელი კომპონენტისაგან შედგება, რომელთაგან თითოეული ადამიანის უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება.⁵⁴

ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს კონკრეტულ პირთა მიმართ პოლიტიკური მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კითხვები, სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენს დიდ გამოწვევას.

ირაკლი ოქრუაშვილის და გიორგი რურუას საქმეების ირგვლივ არსებულ დისკუსიას უფრო აძლიერებს გაჭიანურებული მართლმსაჯულება - ერთ შემთხვევაში პროცესების ჩანიშნა ხანგძლივი ინტერვალით, მეორე შემთხვევაში კი წლობით ჩაუნიშნავი სასამართლო სხდომები. სამართლიანი სასამართლოს უფლების იმანენტური კომპონენტია ეფექტიანი და დროული მართლმსაჯულების განხორციელება. დაგვიანებული მართლმსაჯულება კი ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმას უდრის.⁵⁵ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების გაჭიანურება, გარდა იმისა, რომ შესაძლოა არღვევდეს ბრალდებულის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, ამძაფრებს ეჭვს პირის მიმართ პოლიტიკური მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.⁵⁶

მსგავს პროცესში, მნიშვნელოვანია ხელისუფლების თითოეული შტოს მიზანმიმართული და გააზრებული ქმედება, ქვეყნის დემოკრატიული და ევროპული განვითარებისთვის. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ იმ პირების შეწყალება, რომელთა საქმეების მიმართაც არსებობს პოლიტიკური მოტივების შესახებ კითხვები, უნდა შეფასდეს დადებითად. პრეზიდენტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების გამოყენება არსებული პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის ერთ-ერთი საშუალება გამოდგა.

ირაკლი ოქრუაშვილის და გიორგი რურუას მიერ, შეწყალების მიუხედავად, სასამართლოებში გაგრძელებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები ქართული მართლმსაჯულებისთვის საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს.

პირის უფლება, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიუხედავად (ხანდაზმულობის, შეწყალების ან ამნისტიის საფუძველზე), მისი საქმე განხილული იყოს სასამართლოს მიერ, ერთი მხრივ, ეხმიანება სასამართლოს ფუნქციურ დატვირთვას, შეაფასოს პირის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობა, და მეორე მხრივ, სამართლებრივი თვითშეგნების განმტკიცების გამოძახილია. საბოლოოდ, მსგავსი პრეცედენტი, ასევე, სხვა პირებისთვის ქმნის საკუთარი უფლებების დაცვის და სამართლებრივი, შესაბამისად, სოციალური რეაბილიტაციის შესაძლებლობას.

⁵⁴ *თოფურიძე, ნ.*, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (*რედ. კორკელია, ვ.*), 2013, 81.

⁵⁵ ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ 50375/07; 18.10.2019.

⁵⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, 2024, 12. <https://bit.ly/3Pr4SOP> [18.03.2024].